

157

საბუნ. 107

ს.ს.ი.პ  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

17.06.2009 № 64

სტუდენტთა მობილობის შესახებ

სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადმოყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტებისაგან განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მიღება, განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე განხორციელდეს 2009 წლის 18 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში.

2. დავეალოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს (ზ.გუდენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილაძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არაუგვიანეს 17 ივლისისა.

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გუდენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილაძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-2 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ ამ ბრძანების დანართით (დანართი I)

4. დავეალოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს (ზ.გუდენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილაძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) კონკურსის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 21 ივლისისა.

4.1. კონკურსანტთა რეგისტრაცია ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე ამა წლის 23, 24 ივლისს;

- საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს ამა წლის 27 ივლისს;

- სააპელაციო განცხადებების მიღება მოხდეს ამა წლის 28 ივლისს; მათი განხილვა - 29 ივლისს;

- საკონკურსო გამოცდის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 30 ივლისს;

4.2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანმა საკონკურსო გამოცდის შედეგების საფუძველზე მოამზადოს წარდგინება სტუდენტთა გადმოყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ;

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სესაძემ მოამზადოს 2009/10 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადმოყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი და უზრუნველყოს მისი წარდგენა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში.

6. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

7. ბრძანება ძალაშია ხემოწერისთანავე

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127 (28.03.2005); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №564 (23.06.2008) განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანება №18 (18.05.2009), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სესაძის წარდგინება.


რექტორი, პროფესორი



ა.გურგენი შვეილი


ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი



დ.კლიშია შვეილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი



სესაძე

სწავლებისა დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

ი.გლოშიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის გაყოფილების უფროსი



ბ.მაისურაძე



სტუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი
საბაკალავრო პროგრამებისათვის	
0-დან 30-მდე 30-დან 90-მდე 90-დან 180-მდე 180-დან 240-მდე	პირველი მეორე მესამე მეოთხე
უმაღლესი პროფესიული პროგრამებისათვის	
0-დან 30-მდე 30-დან 120-მდე 120-დან 150-მდე	პირველი მეორე მესამე წლის პირველი სემესტრი